სახვითი ხელოვნების სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები სასპეციალიზაციო გამოცდა

ფორმატი
გამოცდა პრაქტიკული ხასიათისაა და წარმოადგენს შემოქმედებით ტურს, რომელიც ორიენტირებულია პრეტენდენტთა მხატვრული კომპოზიციური აზროვნების და ხედვის, სახვითი ხელოვნების სფეროში ტექნიკური უნარ-ჩვევების დონის გამოვლენაზე.

შემოქმედებითი ტური ტარდება შემდეგი სახით:
პრეტენდენტი ასრულებს ფიგურატიული კომპოზიციის ფერწერულ ესკიზს (ესკიზის თემა თავისუფალია), სადაც გამოვლინდება:
საბაზისო ნახატში შესაბამისი ფორმების ასახვის, ფერის გრძნობის და სურათის კოლორისტული გადაწყვეტის, შერჩეულ მასალაში ტექნიკის ფლობის, სურათის კომპოზიციური გადაწყვეტის შემოქმდებითი უნარები.
კომპოზიციის ესკიზისთვის თემას/სიუჟეტს, სასურათე სიბრტყის ზომას, ზედაპირის ხასიათს (ტილო, მუყაო, ქაღალდი) და მასალას (ზეთის, წყლის საღებავი, პასტელი და სხვა) ირჩევს პრეტენდენტი და მოაქვს თან ; ესკიზი სრულდება სახვითი ხელოვნების სტუდიაში, დრო - 5 საათი.

შეფასების მაქსიმალური ქულაა 100.
კომპონენტების მიხედვით, ჯამური შეფასება ნაწილდება შემდეგნაირად:

1) საბაზისო ნახატში შესაბამისი ფორმების ასახვა - მაქს. 25.
2) ფერის გრძნობა და სურათის კოლორისტული გადაწყვეტა - მაქს. 25.
3) შერჩეული მასალის და ტექნიკის ფლობა - მაქს. 25.
4) სურათის კომპოზიციური გადაწყვეტა - მაქს. 25.

გამსვლელი ქულა - 51